წელიწადი I-ლი    პარასკევი 21 იანვარი    ფასი 30 მან.

# ბათომის ცხოვრება

გაზეთი ღირს თვიურად . . . . 800 მან.
განცხადების ფასი:
1 გვერდზე პეტიტით სტრიქონი . . 50 მან.
4 „ „ „ . . 240 მან.
სამგლოვიარო განცხადების ფასი შეთანხმებით.

ხელმოუწერ წერილებს რედაქცია არ მოათავსებს და მათ შესახებ არავითარ მოლაპარაკებას არ იკისრებს. წერილები უნდა იყოს დაწერილი ერთ გვერდზე და სუფთად.
რედაქცია და კანტორა მოთავსებულია მარინეს პროსპ. საბაშვილის სახლებში, ქვედა სართულში.
რედაქტორის ნახვა შეიძლება დილის 10 ს. 12 საათამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 14    ყოველ-დღიური დემოკრატიული ორგანო    № 14

ელექტრო თეატრი „ა პ ო ლ ლ ო“
ნ. დ. ბროძალ-სხირტლაძის

დღეს სურათი ულამაზესი კოვანკოს და პოლონსკის მონაწილეობით მუსიკა ვერტინსკისა.

## სალამო ბატონისა

ანონსი: კვირიდან 17 იანვრიდან გრანდიოზული ახალი საინტერესო პროგრამა.
კინო პიესა 4 აქტათ პროლოგით
დასასრულ ა რ ე უ ლ ი ა დ რ ე ს ე ბ ი. კომიკური.

ელექტრო-თეატრი „ტ რ ი უ მ ფ ი“

თეატრი მოწყობილია საზამთროთ
ამერიკული სისტემით, მყუდროთ და თბილათ.

ორშაბათიდან 17 იანვრიდან გრანდიოზული სურათები

## მათ მეგობრობაში ზღვა უხამია.

დრამა 5 ნაწილათ.
დასასრულ ჟურნალი ომისა

## განცხადება

ბათომის ქალაქი გამგეობა ამით აცხადებს,
რომ თანახმად ქალაქის საბჭოს 13 იანვარის არაჩვეულებრივ სხდომის დადგენილებისა მიმდინარე წლის 14 იანვრიდან ქალაქ ბათომში დაწესებულია

### შემდეგი ნიხრი ხორცეულობაზე:

| | | |
|---|---|---|
| ძროხის ხორცი გირვანქა . . . . . . . . | 150 | მან. |
| „ „ ფუთი . . . . . . . . | 5000 | „ |
| ღორის ხორცი გირვანქა . . . . . . . | 200 | „ |
| „ „ ფუთი . . . . . . . . | 8000 | „ |
| ცხვრის ხორცი გირვანქა . . . . . . . | 200 | „ |
| „ „ ფუთი . . . . . . . . | 8000 | „ |
| კამეჩის ხორცი გირვანქა . . . . . . . | 150 | „ |
| „ „ ფუთი . . . . . . . . | 4000 | „ |
| ძროხის ქონი გირვანქა . . . . . . . . | 400 | „ |
| ღორის ქონი და ცხვრის გირვანქა . . . . | 500 | „ |

ვინც ამ ნიხრს დაარღვევს, ის მიეცემა პასუხის გებაში.
3—1    ბათომის ქალაქის გამგეობა.

## ყველა ბინის დამქირავებელთ და სახლის პატრონებს

გავეცანით რა იმ მასალებს, რომლებიც შეგროვილ იქნა ახლად დასრულებულ ბინების აღწერის შემდეგ ქალ. ბათომში და მის მიდამოებში ([illegible] ДОВ[illegible]), ქალაქის გამგეობამ დაინახა, რომ მრავალ შემთხვევაში ნაჩვენები მცხოვრებთა რაოდენობა ბინებში სიმართლესთან დაშორებულია მცხოვრებთა რიცხვში ნაჩვენებია გარდა იმ პირთა რომლებიც ეხლა ცხოვრობენ, აგრეთვე ისინიც, ვინც წინეთ ცხოვრობდა და დღეს კი ბათომიდგან გასულია ვიღებთ რა მხედველობაში რომ ასეთი ცნობები მოწოდებულია გაუგებრობით, ქალაქის გამგეობა წინადადებას აძლევს ყველა იმ პირთ, რომლებმაც მიაწოდეს ყალბი ცნობები 20 იანვრამდე ამა წლისა გამოცხადდენ ქალაქის გამგეობაში (სტატისტიკური განყოფილებაში) და გაასწორონ დაშვებული შეცდომები.

იმ შემთხვევაში თუ შეცდომები აღმოჩენილ იქნა აღნიშნულ რიცხვს შემდეგ ქალაქის გამგეობა შეამდგომლობს აღძრავს მთავრობის საგანგებო რწმუნებულის წინაშე, რათა გაძევებულ იქნას ბათომის და მისი ოლქიდან ყველა ის პირნი, რომლებმაც მოგვაწოდეს ყალბი ცნობები.
ქალაქის გამგეობა
3—3

ბათომის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს
რომ მან ეხლად მოაწყო

## ვალცის წისქვილი

(ВАЛЬЦОВУЮ-МЕЛЬНИЦУ).

რომელიც ჯერ ჯერობით დღიურათ ფქვავს 1000 ფუთ ძორბალს. მიღებულია ზომები მის გასაფართოებლად და ახლო მომავალში დაფქვავს დღიურად 2000 ფუთამდე

დაწესებულ ბანი რომელიც მოისურვებენ ისარგებლონ აღნიშნული წისქვილი. ყოველივე ცნობისათვის უნდა მიმართონ ბათომის ქალაქის გამგეობის სასურსათო განყოფილებას.
2 3—2    ბათომის ქალაქის გამგეობა.

## განცხადება
## ბათომის მუშათა მაგიდა

ამით აცხადებს ყველა დაწესებულებების საყურადღებოთ, ვინც ღებულობს მაგიდიდგან რაციონს, წარმოადგინონ ახალი სიები ძველი სიების მაგივრათ არა უგვიანეს 20 ამა იანვრისა, სია უნდა იყვეს შემდგარი ალფავიტური წესით, რომელიც დაწესებულებაც არ მოიყვანს სისრულეში აქ განცხადებას, მათ 20 ამა იანვრის რიცხვიდან შეუწყვეტენ სურსათს.
მუშათა მაგიდა.

ბათომის ფრონტის

## დამხმარე მთავარი კომიტეტი

აცხადებს, რომ ყოველ გვარი ფულების თუ ნივთების შეკრება ფრონტის სასარგებლოდ ამიერიდან სწყდება.

კომიტეტი სთხოვს ყველა იმ პირთ, რომლებსაც ხელით აქვთ სიები თუ წიგნაკები უკანვე დაუბრუნონ ფრონტის დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარეს, დაწვრილებითი ანგარიშების გამოსაქვეყნებლად.
31 3—1

კვირას, 23 იანვარს, დილის სრულ 10 საათისთვის ბარცხანის ყაზარმებში დანიშნულია

ბათომის გვარდიელთა

## საერთო ყრილობა

დღის წესრიგი: 1) მოხსენება რესპუბლიკის სახალხო გვარდიის საერთო ყრილობის შესახებ, 2) მოხსენება ადგილობრივი შტაბის მუშაობის შესახებ და 3) სასამართლოს დაარსება.

დასწრება ყველა გვარდიელთათვის სავალდებულოა
33 3—1    სახალხო გვარდიის ბათომის საოლქო შტაბი.

ბათომის ქალაქის საჯარო ვაჭრობის

## დარბაზი

აუწყებს ბათომის მოქალაქეთ, რომ კვირას 23 იანვარს 1921 წ. დილის 10 საათზე დანიშნულია

## საჯარო ვაჭრობა

გაიყიდება ოქროს და ვერცხლის ნივთები, ჭურჭლები, ტანი[illegible] და სხვა. დარბაზი ღებულობს ნივთებს ყოველ დღე დილის 9 საათიდგან დღის 3 საათამდე.
გასაყიდ ნივთების ნახვა შეიძლება კვირას 23 იანვარს დილის 9 საათ. დარბაზი მოთავსებულია ქალაქის თვითმართველობის სახლში ყოფილი ქალაქის ლომბარდის ბინაზე.
34

## ბათომი, 21 იანვარი.

ჩვენი სახელმწიფო დიდ ეკონომიურ კრიზისს განიცდის, ჩვენში არ არის წარმოება, არავითარი ღირებულება არ იქნება და იძულებული ვართ, ყველა ჩვენთვის საჭირო ნივთები უცხოეთიდან შემოვიტანოთ. ამით აიხსნება, რომ ჩვენი ფულის კურსი თანდათან ეცემა და ეს გაგრძელდება მანამდის, სანამ ჩვენ საკუთარ წარმოებას მოვაწყობთ, რაიმე ღირებულებას არ შევქმნით და ევროპასთან ეკონომიურ ურთიერთობის დაჭერაში ჩვენ ნაწარმოებს საპატიო ადგილი არ მიეცემა.

ცბიერი მტერი და გულუბრყვილო მოყვარეც საქართველოს დამოუკიდებლობას უდღეურ საქმეთ სთვლიდენ, ისინი ყველა გზაჯვარედინზე გაიძახოდენ, რომ საქართველოს ნიადაგს გამოაცლის და მოსპობს მისი ეკონომიურით სისუსტეეს მართალიაც არის თუ ჩვენ ის სიმდიდრე, რომელიც ჩვენი ქვეყნის მიწის სიღრმეშია დამარხული ვერ გამოვიყენეთ, თუ ჩვენ ვერ მოვაწყვეთ წარმოება და რეალური ღირებულების შექმნა ვერ მოვახერხეთ, ცხადია, ეკონომიური კრიზისი უფრო დაასუსტებს ჩვენ სახელმწიფოს და მისი არსებობას საეჭვოდ გახდის.

ამიტომ ჩვენი ცდა იქით უნდა მივმართოთ, რომ ჩვენი საწარმოო ძალების მოწყობა და შეთანხმება, დიდი წარმოების გაჩაღება და ღირებულების შექმნა სწრაფად განვითარდეს, რომ ის ეკონომიური კრიზისი, რომელშიც ჩვენ მოვექეცით, გაირღვევს და ერთე ვაჭრობა მრეწველობის გზაზე შევდგეთ.

თუ ჩვენ მოვახერხეთ, ჩვენში დიდი წარმოების დაწყება, თუ ევროპა მიიღებს ჩვენგან საქონელს, რომელსაც ჩვენი საკუთარი შრომით დავამზადებთ, ჩვენთვის საჭირო აღარ იქნება უცხო ვალიუტის ძებნა, და სავაჭრო ბალანსი დადებითი იქნება მაშინ დამყარდება ნორმალური ეკონომიური ვითარება და ჩვენი ფულის კურსიც ადვილათ გამოს-

წორდება. ხსნა მხოლოთ და მხოლოთ ეკონომიურ ძალთა განვითარებაშია და ყველამ აქ უნდა ვიმუშაოთ, გვერდში უნდა ამოუდგეთ ჩვენ მთავრობას.

ამ მხრით ფრიად საყურადღებო ნაბიჯი გადიდგა, ჩვენ სახეში გვაქვს ის ხელშეკრულება, რომელიც ჩვენმა ეკონომიურმა დელეგაციამ დასდო უცხოეთის სახელმწიფოებთან და განსაკუთრებით საყურადღებო და ჩვენ ქვეყნისთვის დიდათ მნიშვნელოვანი არის ტყვარჩელის კონცესიის პროექტი. მთავრობას და დამფუძნებელი კრების კომისიას უკვე მოუწონებია ეს პროექტი და მალე დამფუძნებელი კრება მის განხილვას შეუდგება.

ტყვარჩელის ქვანახშირის დამუშავების დაწყებით საფუძველი ეყრება ჩვენში [illegible] ევროპიულ წესზე დაყენებულ წარმოებას, ბევრი მუშა სამუშაოს იშოვნის, დიდი ფული დაბანდდება ჩვენ ხალხში, საკუთარი სათბობი მასალა შეგვექმნება და ფინანსიური სარგებელი დიდი იქნება. ეს არის პირველი ნაბიჯი, რომელსაც უნდა მოყვეს სხვა ზომები და საშვალებანი. და მხოლოდ მაშინ ჩვენი სამშობლო თავს დააღწევს დიდ გასაჭირს, ეკონომიურათ და პოლიტიკურათ გამაგრდება და მისი მომავალი განვითარებაც უზრუნველყოფილი იქნება.

## მოკლე შენიშვნები.

ბათომში ხელოვნების დღესასწაულია.

მას ეწვია დაუღალავი მხატვარი ბ-ნი თოიძე

მე არ ვისახავ მიზნათ მის მხატვრულ ნაშრომების გარჩევას, შექებას თუ დაწუნებას.

ეს ჩემს ძალას აღემატება.

ამ მხრივ არაფერი ახალი არ ითქმის მის შესახებ

ის ცნობილია მხატვრული ნიჭითაც და განცდითაც.

ის „მაღლიდან მირონ ცხებულია".

მე მინდა მხოლოთ ორიოდე სიტყვა ვსთქვა გამოფენის მნიშვნელობაზე.

დღემდე ხელოვნება საერთოთ და მხატვრული კერძოთ კაპიტალისტ(ტ)ყვეთ იყო ჩავარდნილი.

ყველაფრის შემქნელი მშრომელი ხალხი მოწყვეტილი იყო ადამიანის სულიერ შემოქმედების ამ [illegible] განძს და ტანჯვის ოფლში იწურებოდა.

ის თავისი მარჯვენით მშვენიერებდა აშენებდა სასახლეებს, სადაც „რჩეულნი ამ ქვეყნისანი" ხელოვნებით სტკბებოდენ, ხალხი კი სხვების გასართობათ და გასამდიდრებლათ წელში იხრებოდა.

სოციალურმა უსამართლობამ დააშორა ხელოვანი მშრომელ ხალხს და უფსკრული ჩამოაგდო მათ შორის.

ხალხი ხელოვანისათვის უბრალო ნედლი მასალა იყო და მას არავინ ანგარიშს არ უწევდა.

კაპიტალისტურმა ხანამ შეისყიდა ოლიმპის მკვიდრნი და დაესაკუთრა მათ ზეციურ ნიჭს და შემოქმედებას.

მხატრობის ღმერთმა მდიდართა ბარბაზებში მოიკალათა, ხალხს ზურგი შეაქცია და ბურჟუაზიულ გარყვნილებას მადლი აპკურა.

ეს სინამდვილე [illegible] მკაფიოთ გამოსთქვა მხატვარმა თოიძემ:

— „ხელოვნება ჩვენში მხოლოთ სოლოლაკელებმა დაისაკუთრესო".

ჩვენი დამსახურებული მოღვაწე ეკუთვნის ხელოვანთა იმ ჯგუფს რომელმაც შეეცადა გადაელახა უსამართლობის გავლენა და თავისი განცდის გამოსახატავათ მშობელი ერის ყოფა ცხოვრება აელო.

და ხელი მოჰკიდა 'ხალხური გამოფენების მოწყობას.

დაუცხრომელმა ბელინსკიმ სთქვა:

— „ნამდვილი დრამატურგი არის ის, რომლის პიესა სცენაზე ნახვის შემდეგ ჩაგაფიქრებსო"..

გამოჩენილმა კრიტიკოსმა ამით უდიდესი ჭეშმარიტება აღნიშნა.

დაკვირვებულათ ჩამოუარე მხატვარ თოიძის სურათებს და სხვათა შორის ჩემი ყურადღება მიიპყრო პატარა ტილომ.

აღტაცებული შევჩერდი მის წინაშე და სწორეთ ეს „ჩაფიქრება" განვიცადე.

ეტყობა მიმდინარე ცხოვრების უსამართლობას ნიჭიერ მხატვარის ძარღვებიც „აუშლია"...

პატარა ტილოზე გამოხატულია ბორჯომის მშვენიერი პარკი.

ერთ კუთხეში „ბედნიერების" და ოხრობის მორევში სცურავენ მდიდრები.

შამპანიურით ამჩატებულ ახალ გაზრდა სპეკულიანტებს ეარშიყებიან ვნებით დამთვრალი ქალები.

ოხრდება სიმდიდრე, იფლანგება ქონება, ბატონობს გარყვნილება!!

„ცხოვრება ხდუღს", ცოდვა გად მოსდუღს!..

იქვე ახლოს წელში მოხრილი სწავლული ცაგარელი და დინჯათ ათვალიერებს სიძველის ნაშთებს.

მხცოვანი პროფესორის სახე გამხმარა და თვალებიც მისუსტებულა,

მაგრამ ამ მისუსტებულ თვალებშიც ადვილი შესამჩნევია მარადისობის მკლევარი ცეცხლი...

მოქეიფენი არ აქცევენ მას ყურადღებას, თუმცა სწავლული მათ წინ იმყოფება.

დამაინტერესა მხატვარის ზრახვებმა და ვკითხე:

— რის გამოხატვა გსურდათ...

— ვერ ატყობთ პროფესორს?

— თითქოს ავათ უნდა იყოს..

— არა! ის მშიერია! მე ავხადე ეს სინამდვილე, რომელსაც ჩვენი სწავლული ბორჯომში ცხოვრობდა და საშინელ პირობებში იმყოფებოდა...

ეს სურათი სამუდამოთ ჩამესახა გულში. თითქოს ეხლაც ვიდგე მის წინაშე.

ბ-ნ თოიძეს ერთი თავისებურობა აქვს.

ის მუშაობს შეუმჩნევლათ, არ „ხმაურობს" და სხვათა შორის ის ამითაც არის საყვარელი.

მხატვარი ეწვია ბათომს თითქმის შეუმჩნევლათ, ურეკლამოთ.

და მოგვიწყო კარგი დღესასწაული.

თავისი ნაწარმოებებთან ერთათ მას სხვა მხატვრების ნაწარმოებიც გამოუფენია.

აქ თქვენ ნახავთ უძველეს სპარსულ და სომხურ მხატვრობის ნიმუშებს.

არის ევროპის ხელოვანთა ალბომიც.

მე ვნახე იქ სახელგანთქმული ფრანგი გოგენი, რომელმაც მხატვრობის ხელოვნებაში დიდი რევოლიუცია მოახდინა:

— ყირამალა გადატრიალა ძველი სკოლა და პირველ რიგში ფერადების მნიშვნელობა წამოაყენა

ფრანგებს რეკორდი ეკუთვნით საზოგადოებრივი ცხოვრების რევოლიუციებში და მშფოთარე საფრანგეთის შვილმა პირველობა დაიკავა მხატრობის რევოლიუციაშიც.

თოიძის გამოფენა საკმაოთ გვაცნობს საქართველოს ახალ ეროვნულ მხატვრობასაც.

ეს გამოფენა ხალხისათვის ხელმისაწდომია და დიდი მნიშვნელობაც აქვს მისთვის.

ძვირფასი სტუმარი მეტის თავაზიანობით გიპასუხებთ ყოველ შეკითხვაზე და გიხსნით თითეული ტილოს მნიშვნელობას.

ამ გამოფენამ დროებით დ მავიწყა ჩვენი პროვინციალური ცხოვრების უშინაარსობა და მივატოვე ის სრულიად დაკმაყოფილებულმა.

ქ. ფირცხალაიშვილი.

## მოჯადოებული წრე.

ამიერ კავკასიის ყოფა მოჯადოებულ წრეთ იქცა. აზერბეიჯან-სომხეთის „სოვეტიზაციამ" უდრესად გაართულა ამიერ-კავკასიის ვითარება. აზერბაიჯან-სომხეთი მოსკოვის ხელებია კავკასიაში ნებით თუ უნებლიეთ რუსულ საქმეს რომ აკეთებენ. ამ ორმა ჩვენმა მოსაზღვრე ერებმა თავისთავი მოიკლეს ან უკეთ რომ ვსთქვათ ძღვნად მიერთვენ რუსულ კომუნიზმს.

გამარჯვებული რუსეთი მოხერხებულად მოიხმარს მათ სიბეცეს, რუსეთი უკვე ვაჭრობს ბაქოს ნავთით და სომხეთის ბამბით ევროპაში, მაგრამ ეს სხვათა შორის. რუსეთი შეიქმნა ბრძანებელი ბაქო-ერევნისა და ეს უკანასკნელიც ერთგულებენ მოსკოვს.

ბაქომ და ერევანმა ორიენტაცია რუსეთისკენ მიჰმართეს კომუნისტების იმედით ყოყოჩობენ საქართველოსთან ერთობ ახირებულ ენით ლაპარაკობენ, ბაქომ დაიჭირა ჩვენი მატარებლები და ნავთს არ გვაძლევს, სომხეთი აცხადებს, რომ მე ნეიტრალი ზონა უნდა დავიკავოო, ჩვენ დარწმუნებული ვართ ამ ორ გაბოლშევიკებულ ქვეყანას დაკარგული აქვს უნარი სწონა სწორობისა და ყველაფერს ამბობს მაგრამ ამ პირობებში დარჩენაც ყოვლად შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს მოვლენებს თავის სახელი უნდა ეწოდოს უნდა მოხდეს ერთგვარ გარდატეხა რომელიც რამოდენიმეთ მაინც განორმალებდა ამიერ კავკასიის ერთა ურთიერთობას, ჩვენ ტრადიციით ვიკავთ მშვიდობიანობას და მეზობლებთან მეგობრობას, მაგრამ თუ ჩვენი ხალხის ინტერესი ვისმესგან შეიბღალება ჩვენ არ დავერიდებით არავითარ მსხვერპლს, რომ საქართველოს ხალხის ინტერესი აბსოლიუტურად იქმნას დაცული. ამ მხრით სასურველად მიგვაჩნია იმ კონფერენციის მოხდენა, რომელიც განზრახული აქვთ ბოლშევიკებს, რ. ი. კავკასიის ერთა შეძლოა ამ კონფერენციაზე სანახევროდ მაინც გამოირკვეს ამიერ კავკასიის ერთა დამოკიდებულება და დამყარდეს ერთგვარი განწონილება.

საინტერესო იქნება თუ როგორი ტონით ილაპარაკებენ ამ კონფერენციაზე ბაქო-ერევნის ეროვნული „პორაქენცები" და რას არგუნებენ თავის სამშობლოს.

საქართველოს საგარეო პოლიტიკა ყოველ მხრივ უნდა შეეცადოს ამ კონფერენციაზე ამიერ კავკასიის მოჯადოებულ წრის გარღვევას და ჩვენ და მეზობლებ შორის ნორმალ ურთიერთობის ჩამოგდებას.

და თუ ეს ვერ მოხდება მაშინ საქართველომ სხვა ფრივ უნდა მიიღოს ღონის ძიებანი რომ ქართველ ერის უფლებები არ ილახებოდეს და საერთოდ ბაქო ერევნის ამყოლ დამყოლია პოლიტიკოსები ყოველ დღე არ მართავდენ პოლიტიკურ ავანტიურის დოლს ამიერ-კავკასიის მდგომარეობის გასართულებლათ ველოდოთ კონფერენციას.

ი. იმერელი.

## უცხოეთი.

გოფმანის განცხადება:

„მატენი" აქვეყნებს ინტერვიუს გენ. გოფმანთან, რომელიც გერმანიის პრესაში იყო მოთავსებული. გოფმანმა განაცხადა; მომავალ გაზაფხულში პეტროგრადის წინააღმდეგ დაწყებული იქნება დიდი სამხედრო მოქმედება, რომელიც გასწმენდს რუსეთს ბოლშევიკებისაგან. პეტროგრადის დაცემის შემდეგ ანტიბოლშევიკურ ძალების ყურადღება მიპყრობილი იქნება მოსკოვისაკენ.

მოსალოდნელი კონფლიქტები.

ინფორმაციონი იუწყება: ვინაიდან კავკასიაში დიდი კონფლიქტები არის მოსალოდნელი, ამიტომ ტროცკი წითელი ჯარის ვადაჯგუფებას აპირებსო.

საბერძნეთის ჯარი.

თანახმად ელინთა ღიმშრის მთავარშტაბის ცნობისა, საბერძნეთის ჯარი განაგრძობს წინ სვლას მეორეს მხრით თანახმად სტეფანის სააგენტოს ცნობისა, საბერძნეთის ჯარის შეტევა ქემალისტების მკაცრი წინააღმდეგობის გამო შეჩერდა.

უკრაინის გლეხები ბოლშევიკების წინააღმდეგ

თანახმად გაზეთ „ეივრის" მიერ მიღებულ ცნობებისა უკრაინის გლეხები საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულან და კიევის ჩრდილოეთ დასავლეთით კიდევაც გაუმარჯვიათ. მაკაროვი წითელი გარნიზონის განადგურების შემდეგ აჯანყებული ჩრდილოეთისაკენ გაემართენ. ამ ჟამად ისინი უტევენ კიევს, რომლის აღებასაც არ დააყოვნებენ,

ფრანგული ცნობები.

ახალი კაბინეტი საფრანგეთში.

რაოლ-პერემ, რომელსაც პრეზიდენტმა მილიერმა ახალი კაბინეტის შედგენა მიანდო, ელისეიდ სასახლიდან დაბრუნებისას ხელი მოჰკიდა ამ საქმეს და მოლაპარაკება გამართა იმ სახელმწიფო პირებთან, რომელთა დახმარებასაც იგი საჭიროთ სთვლის. პერემ უმთავრესი ყურადღება მიაქცია საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრების თანამდებობათ. პერეს სურდა დახმარება [illegible] ამ საქმეში, ფართო გამოცდილების მქონე პირ რაიმონდ პუანკარესაგან რომელიც ომის დროს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იყო. პუანკარემ განაცხადა, რომ იგი საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობას სთვლის საერთო პოლიტიკასთან შეკავშირებულათ. მან აღნიშნა, რომ საგარეო საქმეთა მინისტრის მოვალეობა ყველაზე უფრო მას შეეფერებოდა.

მდგომარეობა გერმანიაში.

მდგომარეობა გერმანიაში გაზეთ „ობზერვ დელოს" სიტყვით კრიტიკულია. დღითი დღე იზრდება ეკონომიური კრიზისი. ხშირდება ძარცვა-გლეჯა და ხდება ის რასაც წინად ადგილი გერმანიაში არა ჰქონდა. ძალები მალტუზიანიზმს ჰქადაქობენ ფაბრიკა-ქარხნები ერთიმეორეთ სულ დგება, აღარ მუშაობენ და ეს უფრო ართულებს ქვეყნის მძიმე მდგომარეობას.

ვრანგელის აგენტები.

უკანასკნელ ხნის განმავლობაში კავკასიის მახლობლად სტანიცებში [illegible] აჯანყება მოხდება. აჯანყებულთა მხარს დაუჭერს საფრანგეთი, რომელიც უფრონტზე გამოგზავნის კუროპის ჯარს, რომელსაც ეხლა გალიპოლში აგროვებენო.

ამნისტია ქალებს.

ხომქეთში რევკომის განკარგულებით ყველა დაპატიმრებული ქალები მიუხედავათ იმისა, რა [illegible] გულისთვის სხედან ციხეში, განთავისუფლებულნი იქნებიან.

ინგლის რუსეთის შეთანხმება.

„დეილი ნიუზი" იუწყება უკანასკნელ ორი კვირის განმავლობაში ინგლისისა და რუსეთის წარმომადგენლები სცდილობდენ შეთანხმებას. ბრიტანეთის მრეწველობის წარმომადგენელმა წარმოადგინა შეთანხმების უკანასკნელი გეგმა, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საკითხის საუკეთესო გადამწყვეტი იქნება ლიგა ან ისეთი კორპორაცია, რომელშიაც შევლენ ინგლისის მრეწველების და საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლები.

კრასინის განცხადება.

„მანჩესტერ გარდიენი" ბეჭდავს ინტერვიუს კრასინთან, რომელმაც უცხოელებზე კონცესიების გადაცემის შესახებ შემდეგი განაცხადა: ჩვენი პარტიული მტრები გვკიცხავენ უცხოელ მრეწველებზე კონცესიების გადაცემის გამო. მაგრამ მათ უნდა შეიგნონ, რომ ჩვენ[illegible] სურვილი რუსეთია ბუნებრივ სიმდიდრის უცხოელ კაპიტალისტების დახმარებით დამუშავებისა, ღირსი ყოველგვარ მოწონებისა. ჯერ ჯერობით ჩვენ გავეცით კონცესია ნავთის და ნახშირის დამუშავებისა 16[illegible] მერიდიანის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიაზე ამერიკის სინდიკატს, რომლის მეთაურია ვანდერლიპი. კონცესია 60 წლით არის გაცემული.

ნაფენი.

ვარშავიდან იტყობინებიან, რომ ხალხთა ლიგამ კატეგორიული წინადადება მისცა გენ. ჟელიგოვსკის ვილნოს დაცლის შესახებ.

საქართველო და ხალხთა ლიგა.

ფრანგული პრესა იუწყება: ერთა ლიგაში საქართველოს მიღების საკითხის გადადების გამო, ლეონ ბურჟუამ განაცხადა, რომ ერთა ლიგა თავის უახლოეს სესიაზე კვლავ განიხილავს ამ საკითხსო. ამასთანავე ლეონ ბურჟუამ განაცხადა, რომ იგი პირადათ მხარს დაუჭერს საქართველოს ჩარიცხვას ერთა ლიგაში.

რუსეთი და ხალხთა ლიგა

„ტანი" იუწყება: რედაქციას საშუალება აქვს დაბეჭდოს გამოქვეყნოს რუსულ-ანტიბოლშევიკურ ორგანიზაციის მიერ ერთა ლიგის მეხუთე კომისიისათვის გაგზავნილ დეპეშის ტექსტი. დეპეშაში ნათქვამია: „ვღებულობთ რა მხედველობაში რუსეთის ტერიტორიაზედ შექმნილ მდგომარეობას, ვფიქრობთ რომ ყოველგვარი შუამდგომლობა ყოფილ რუსეთის ტერიტორიაზე აღმოცენებულ სახელმწიფოთა ერთა ლიგაში ჩარიცხვის შესახებ, არ [illegible] და დაკმაყოფილდეს და ამ გვარი თხოვნები უყურადღებოთ უნდა იქნას დატოვებულიო.

ინგლისის მთავრობის ფორმალობ[illegible]

„ტაიმსი"-ს ცნობით. მთავრობა[illegible] გადაუწყვეტია გაძლიეროს ფორმ[illegible] ლობა, რომელიც ხელს შეუშლ[illegible]

და საერთოთ გააძნელებს უცხოელთა შემოსვლას დიდ ბრიტანეთში. ამ ფორმალობით მთავრობას სურს შეუძლებელი გახადოს არა სასურველ ელემენტთა შემოსვლა დიდ ბრიტანეთში.

პარიზი

რაულ პერემ კაბინეტის შედგენა ვერ მოახერხა. ის წარუდგა პრეზიდენტ მილიერანს და განთავისუფლება სთხოვა. პრეზიდენტმა ბრიანს მიმართა და წინადადება მისცა კაბინეტის შედგენისა. ბრიანი დასთანხმდა. უკვე სია იმ პირთა, რომლებიც შევლენ ბრიანის კაბინეტში მზათ არის. თვით ბრიანი გარეშე საქმეთა სამინისტროს ჩაიბარებს, ბერტი იუსტიციის სამინისტროს მარეუ სამხედროს.

გერმანიის თხოვნა.

გერმანიის მთავრობამ ახალ რუსეთ-პოლონეთის ომის დაწყების შესაძლებლობისა და რუსეთის ომის შესაძლებლობასა და რუსეთის გერმანიაზე დაცემის მიზეზებით, სთხოვა მოკავშირეებს დართოს ნება შეიძინოს აღმოსავლეთის საზღვარზე არტილერია და ჯარების გაძლიერებული შემადგენლობა. გერმანიაში მყოფმა რუსეთის წარმომადგენელმა კოპპ ოფიციალურად განაცხადა, რომ საბჭოთა მთავრობა მიისწრაფვის ზავისაკენ და რომ მას არ აქვს საფუძველი იფიქროს, რომ პოლონეთის მთავრობაც ასეთივე განზრახვებით ხელმძღვანელობს. ხმებია გერმანიაში საბჭოთა ჯარების შეჭრის შესახებ რუსეთის მტრების მიერ არის გავრცელებული.

## ახალი ამბები.

„ბათომის ცხოვრების" ასოთ-ამწყობნი აუწყებენ რედაქციას, რომ შერემეტევის ქ. № 56 ბინის პატრონი ალ. წერეთელი მათ სისტემატიურად ავიწროვებს ის უდიერათ ახსენებს რესპუბლიკის მთავრობის წევრებს და ყოველ დღე უმატებს ბინის ქირას. მუშების განცხადებით ბ-ნ წერეთელს ყოველგვარად ეხმარება მეოთხე უბნის კომისარი. ბ-ნი წერეთელი იმდენად გაკადნიერებულა, რომ თურმე მუშებს დატუსაღებითაც კი ემუქრება.

ქალაქის მოურავმა გიზო ანჯაფარიძემ 19 იანვარს მობენეფისეს მარო მდივანს გადასცა 50,00 მან.

იანვრის 26 შმაევსკის თეატრში წარმოდგენილი იქნება სიო ჰანტურიშვილის ცნობილი პიესა „მორევში"

ბათომის საგანგებო რაზმის უფროსის უფროსმა თანაშემწემ დაიჭირა ქვეითა ჯარის ოფიცერი ესევი გვილავა.

გუშინ ვალერიან გუნიას მონაწილეობით გაიმართა უფასო წარმოდგენა ჯარისთვის „ოლლუში".

19 იანვარს მოხდა წყლის კურთხევა თანახმად ეკლესიის წესისა.

მთავრობის თავმჯდომარის ბრძანებით ყველა მუსლიმანი მცხოვრებნი რესპუბლიკისა შრომის ბეგრისაგან განთავისუფლებულნი არიან.

საშობაო სურათების გამოფენა ბათომში დასრულდა.

ჯარის კაცებისათვის საჩუქრების დარიგება გრძელდება.

ქალაქის მცხოვრებთათვის ქალაქის თვითმმართველობამ შეიძინა დიდძალი სხვა და სხვა სანოვაგე.

18 იანვარს ბათომის ქართველ ქალთა წრემ 50 ათასი მანეთი გადასცა მოხეტიალე მუსიკოსს ილიკო ქურხულს ჩვენი ქუჩის მუსიკალურ კულტურის სკჭიროებისათვის

სამხრეთ დეპეშა ფრონტიდან საქართველოს სადარაჯოები მოვიარეთ ყველგან მხნე და მუყაითი კომანდირი მარი ამ მუყვლობზავრობაში ძალიან დაგვეხმარა ჯარის კაცნი და ოფიცრები მხნეთ არიან სალამს უძღვნიან კომიტეტს და ბათომის მცხოვრებთ.

## შავი ზღვის რადიო.

„სალამი ქართველ ამხანაგებს".

(ბოლშევიკების ცნობა)

კომუნისტურ ინტერნაციონალის აღმასრულებელი კომიტეტი უგზავნის მხურვალე და ძმურ სალამს ქართველ ამხანაგებს, რომელნიც ასობით იღჩობიან ყვითელ სოციალ გამცემლების ქართველ სოციალ დემოკრატების რესპუბლიკის ციხეებში. ამ მთავრობის ზურგში აგენტებით, ჯალათიმათ არიან არა უბრალო მომაკვდავნი არამედ მეორე ინტერნაციონალის ბელადები კაუცკის მეთაურობით ვანდერველდე, რენოდელი და სხვანი.

ყველა ქვეყნის მუშებმა უნდა იცოდენ, რომ არ არის დანაშაული და ლალატი მუშათა და გლეხთა მიმართ რომელიც არ ჩაედინოთ მეორე ინტერნაციონალის მომხრეთ, თუ კი ასეთი დასჭირდებოდა ბურჟუაზიას.

— მოსკოვის ცნობებით რუსეთში ბიუროკრატმოქმედთა რიცხვი 30 პროცენტით შემცირდა, აგრეთვე ინტენსიური შეიქმნა ქარხნების მოქმედება ორთქმავლების რიცხვმაც იმატა ამჟამად 8 ორთქმავლის ნაცვლად დადის 11 ორთქლმავალი

არხანგელის სიმდიდრე.

გაზ. „პრავდა სწერს" რომ არხანგელში დაგროვილია დიდძალი სხვა და სხვა საქონელი რომელიც თანამედროვე ევროპის კურსით ღირს 250 მილიონი ოქრო, სასურველი იყო რომ ამ სიმდიდრის საბადლოთ რუსეთს შეეძინა „ლეკომოტივები, და ფეხსაცმელები რუსეთისთვისო.

ბრძანების არ შესრულება.

„პრავდა" სწერს, რომ ყირიმის ჯარებისადმი მიმართული ბრძანება არმიის ხალხთან დამოკიდებულების შესახებ არ შესრულებულა.

თურქესტანის პური.

წარსულ წელს თურქესტანს დაუმზადებია მილიონი ნახევარი ფუთი პური.

მოწოდება გლეხებს,

ყველა გლეხები რუსეთისა უნდა შემოკრბენ ქარხნებში რუსეთის წარმოების შესაქმნელად.

ბოლშევიკები აცხადებენ, რომ რუსეთში გლეხები ხალისით მოდიან ქარხნებში სამუშაოდ.

— ბოლშევიკები აცხადებენ, რომ ჩვენ გაგვყავს დიდი სამხრეთის გზა რომელიც შეაერთებს მცირე ოკეანეს მყინვარ ოკეანესთანო.

## გადასახლების საქმე.

მიწად მოქმედების სამინისტრომ მთავრობისგან 300 მილიონი უვადო სესხი გამოითხოვა რესპუბლიკის შიგნით გადასახლების საქმის ორგანიზაციისთვის. გადასახლების ან უკეთ რომ ვსთქვათ თავისუფალ სასაზღვრო რაიონებში ქართულ ელემენტის ჩასახლების საკითხი ერთი სერიოზული საკითხთაგანია.

ჩვენი საზღვრები ყოველ მხრივ უნდა იყოს გამაგრებული სხლ საიმედო სახელმწიფურ ელემენტით. ყარაიაზი, გაგრის მიდამო და მამისონროკის უღელტეხილები უნდა დასახლდეს იმერეთის და რაჭის მიწის სივიწროვისგან შეწუხებულ გლეხობით.

ქვეყნის თავდაცვისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როცა ერს საზღვრებზე თავი დაზღვეული აქვს. საზოგადოებამ, პრესამ, და სათანადო ორგანომ დიდი აგიტაცია უნდა გასწიონ საზღვრების დასახლებლად.

მთავრობამ ყოველგვარი დახმარება უნდა მისცეს გადასახლებულ, ამ ადგილებში წინ და წინვე გაყვანილ უნდა იქმნას ცხოვრებისთვის აუცილებელი გზები, გამორკვეულ იქმნას ყველგან წყლის საკითხი გაგზავნილ იქმნას ექიმი და ბოლოს გაიხსნა სკოლები.

ჩვენს ბუნებრივ საზღვრებს უნდა ყარაულობდენ ბუნებრივ შვენების ელემენტები, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობისთვის მსხვერპლის გაღებას არ დაერიდებიან.

განაპირა კუთხეებში ყველა თავისუფალი ადგილები საღმა სახელმწიფო ელემენტმა უნდა დაიკავოს. საზღვრების სიმაგრე მოითხოვს, რომ გადასახლების საქმის სასურველად მოსაწყობად ყოველიკე ზომა იქმნეს დაჩქარებით მიღებული.

ი. ჯ—ლი.

## მარო მდივანის ბენეფისი.

მოგონებისთვის უკვდავი იქნება 19 იანვარი. ამ დღეს პირველად ქართულ წარმოდგენაზე მოზღვავდა ქართველი საზოგადოება და გაავსო თეატრი. მარო მდივანის საბენეფისოდ წარმოდგენილ იქმნა მხიარული კომედია „ოლლუში" ვალ. გუნიასი.

ამ წარმოდგენამ ბრწყინვალეთ ჩაიარა. ვალერიან გუნიამ გააცოცხლა ძველი უდარდელი მაგრამ თავის ოფიცრებზე მაინც „მამობრივად" მზრუნავი გენერალი.

მარო მდივანმა ჩვეულებრივ მშვენებით ჩაატარა თავის როლი და 20 წლის სასცენო მოღვაწეობას თავზე 15—16 წ. ცელქ ბავშვათ მოევლინა სცენას. საზოგადოება დიდათ ამხიარულა ვასო ურუშაძის „ვითაარცამ" იმერელ აზნაურის მეაფთექეს როლში.. მემამულე რაინდაძე გუგუშვილი საკმაოდ ანსახიერებდა თიონეთის მაზრის ძველ მამამულეს თ. დ. რაინდაძეს. სცენას ამშვენებდა ადიუტანტი ძნელაძე და ექიმი ღამბაშიძე ამ მსახიობთა უტყუარი ნიჭი უკვე სჩანს. ბარველი თავმომწონე პრაპორჩიკის როლში მეტად კარგი იყო. საერთოდ ეს წარმოდგენა საგანგებო იყო, ზღვა საზოგადოება მხურვალეთ მიესალმა ქართულ სცენის ბებერ ქურუმს ვალერიან გუნიას და მობენეფისეს მაროს, პირველი მისასალმებელი სიტყვა წარმოსთქვა დრამატიულ წრის და ბათომის სოც. დემ. პარტიის კომიტეტის სახელით ბ-ნმა ჟღენტიშვილმა, მოწინავე ახალ გაზდობის სახელით აკ ჩინდლიაძემ, ვალ გუნიამ, ვ. ბარველმა და ქურულმა (ლექსით) მობენეფისეს მიართვეს მრავალი ვარყვავილი, ქალაქის თავისაგან 50,000 მან. და სხვა და სხვა საჩუქრები. მარო მდივანმა გადაუხადა რა საზოგადოებას მადლობა 50,000 მან. შესწირა ფრონტის სასარგებლოდ. საზოგადოება იშვიათი კმაყოფილებით დაიშალა, ასეთი დაინტერესება ქართული წარმოდგენით ბათომის სცენაზე პირველი იყო ვინატროთ, რომ იგი არ ყოფილიყოს უკანასკნელი.

საბენეფისო წარმოდგენას არც ერთ მ რით შნო არ აკლდა. ქნი ჯავახიშვილისა ტიპიური ქართველი კნეინა იყო, მან საუცხოვოდ შეასრულა თავის როლი.

როგორც ვსთქვით ამ საღამოს ყველა თვით წვრიმალ მეროლეც განსაკუთრებულ დაკვირვებით თამაშობდა და ბენეფისიც ბრწყინვალე შთაბეჭდილებით ჩატარდა.

ხარ.

## პრესა.

გაზ. „სამუსლიმანო საქართველოი", როგორც ეტყობა, ცდილობს ჩადგეს იმ რიგში, რომელსაც ჩვენი სამშობლოს დამკვლელთა ძალების თავისებური დაფასება და განქიქება ხელობათ გაუხდია. ბევრი სწერეს და რაც ძალა და უნარი შესწევდათ ამხილეს ბ. ჩხიკვიშვილის მოღვაწეობა. თუმცა უნდა ითქვას, რომ ის პოლიტიკა, რომელსაც ყოფილი საგანგებო კომისარი აწარმოებდა იყო ჩვენი დემოკრატიის მიერ ნაკარნახევი პოლიტიკა ბ. ჩ. ეყრდნობოდა თავის მოღვაწეობაში ადგილობრივ დემოკრატიას და ეს ერთ ჯგუფში, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოთხოვებია იმ აზრს, რომ ის წარმოადგენს ხალხს, იწვევდა მწარე განცდას და გაკვირვებას. აქ ჩვენ არ ვეცდებით გაზ. „სამ. საქ."-ს კაცია და ბუნება, არ მოსწონთ!

მაგრამ კვირანდელ ნომერში მოთავსებული წერილი, მოწინავე, ჩვენ საბაბს გვაძლევს უთხრათ პატივცემულ გაზეთს, რომ ასე ხელიდებით შეურაცყოფა იმ ძალის, რომელიც საქართველოს მშრომელი ხალხის ერთგული შვილებია და რომელსაც სამშობლოს სამსხვერპლოზე მიაქვს თავისი პირადი ცხოვრება, მეტი რომ არ ვთქვათ, გვაფიქრებინებს, რომ გაზ. „სამ. საქ." რედაქციაში მოკალათებულა ხალხი, რომელსაც ჩვენი ქვეყნის ინტერესები აბუჩათ აუგდია. ქართველი ხალხი პატივისცემით ეპყრობა გვარდიას, რომელიც ეხლაც საქართველოს ბჭების დარაჯათ სდგას გაზ. „სამ. საქ." კი ცილსა დებს ჩვენ სახელოვან გვარდიას და საძაგლათ სტყუის, როდესაც სწერს: „შემდეგი თაობა ზოგიერთ გვარდიელის და მილიციონერის საქციელს საზღაპროთ გახდის და შესაძლოა აკვანშიატირებულ ბავშს დედა ასე აშინებდეს: გაჩუმდი, მოვიდა გვარდიელი" ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ გვარდიელის სახელი როგორც დღეს, ისე მომავალში შარავანდედით იქნება მოსილი და მომავალი თაობა გვარდიის გმირულ საქმეებს საზღაპრო ძეგლს დაუდგამს ჩვენს დედა ქალაქში.

## თეატრი და მუსიკა.

### მოხეტიალე მუსიკოსთა დილა.

კვირას, 16 იანვარს შმაევსკის თეატრში ილიკო ქურხულმა გამართა მოხეტიალე მუსიკოსთა დილა მესტვირეების მონაწილეობით.

სიმღერით, ტირილით, ღიღინით მოგვითხრო მოხეტიალე მუსიკოსმა მისი იცის რაობა და შთაბეჭდილებანი, რომელიც მას გამოუცდია ხეტიალის დროს. მოგვითხრო როგორ ებრძვის იგი ალონებს, ქუჩურ მუსიკას, რომელიც რყვნის ხალხის ესთეტიურ გემოვნებას.

მეორე განყოფილებაში მუსიკოსმა ლ მაზი მხატვრული ენით გვიამბო თუ როგორ გაიყვანა ქუჩაში გიორგი ქუჩიშვილი. გვიამბო საინტერესო ეპიზოდი ქუჩის თავგადასავლიდან. გზა და გზა კითხულობდა ქუჩიშვილის ლექსებს. რამაც დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მსმენელებზე.

მესამე განყოფილებაში მუსიკოსმა შეასრულა მანნეს ელეგია. მესტვირეებმა ექსპრომტებით გაშალეს ხალხური შემოქმედება ... იყო აბრამასპ ... სტვირზე ხელოვნურათ შესრულებული.

დილა დასრულდა ნაშუადღევის 4 საათზე. ჩვენდა სავალალოთ ხალხი ძლიერ ცოტა დაესწრო დილას.

თეატრი „გროტესკი".

პარასკევს „გროტესკში" სიდიოდა მხიარული ოპერეტკა „როდესაც ქმრები ღალატობენ" უნდა აღვნიშნოთ რომ დიმოვის თბილისში წასვლის და გერმანოვის ავადმყოფობის გამო როლები შეიცვალა თითქმის მოუმზადებლათ გავიდენ ახალ როლებში ბარტენიევი, ველსკაია, მარსოვი და სხვა. შედეგი: ოპერეტის გაფუჭება. დარწმუნებული ვართ ასეთ შემთხვევას მომავალში ადგილი არ ექნება, „გროტესკს" „პელმელთან" დიდი უპირატესობა აქვს და თუ საქმეს სერიოზულათ მოეკიდება საზოგადოების თანაგრძნობა მისკენ იქნება

ვანი.

## მუშათა ცხოვრება.

### სეკრეტარიატში.

მეეზოვეთა კავშირის გამგეობისგან სეკრეტარიატში, შემოვიდა შემდეგი შინაარსის განცხადება:

„არც ერთი დარგის მუშები ჯამაგირების მიღების მხრით არ არის ისეთ გაურკვეველ და უხერხულ მდგომარეობაში ჩაყენებული, როგორშიაც იმყოფებიან მეეზოვენი, რისთვისაც მოგმართავთ თხოვნით პროფესიონალურ კავშირთა სეკრეტარიატს, რათა მიიღოთ ზომები მეეზოვეთა გარკვეულ პირობებში ჩაყენების შესახებ. ბათუმში არსებობს ხუთი უბანი, რომლებშიც განაწილებულია 200 მეეზოვე. ზოგიერთ უბნებში მეეზოვენი თავის ხვედრს ჯამაგირებს ღებულობენ სახლების მეპატრონეებისაგან, ზოგან უფროსი მეეზოვე აგროვებს ფულს და მერმე ურიგებს, ზოგან კი ადმინისტრაციის რომელიმე წარმომადგენელი აგროვებს მეეზოვეთათვის ჯამაგირებს და სხვა. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ერთ და იმავე დროს ფული გროვდება სხვა და სხვა სახით. ასეთი არა ნორმალური პირობები მეეზოვეებს აყენებს უფრო მძიმე მდგომარეობაში და ხშირია შემთხვევა, როდესაც მეეზოვე 8.8000 მანეთის მაგივრად ღებულობს მხოლოდ 4000 მანეთს.

ყველა ზემოდ ჩამოთვლილი მიზეზების გამო, მეეზოვეებს არა აქვს საშუალება თავისი მოვალეობა პირნათლად შეასრულოს, რისთვისაც გამგეობას მიაჩნია საჭიროდ შემდეგი პირობების შექმნა მეეზოვეთათვის: 1) ყველა უბნებში ერთი და იმავე წესით ფულის შეგროვება და ჯამაგირების თავის დროზე დარიგება; 2) საჭიროა პასუხის მგებელი პირონების ყოლა, ანდა რაიმე ორგანოს შექმნა, რომელიც მიაწყობს მეეზოვეთათვის ჯამაგირების მიცემის საქმეს, რომ არავითარ ბოროტმოქმედებას არ ქონდეს ადგილი; 3) მეეზოვეებისადმი მილიციონერების მხრით ადამიანური მოპყრობა, და 4) სადაც შესაძლებელი იქნება მეეზოვეთ მიეცეთ ოთახი ქირით ჯამაგირში გამოკლებით".

სეკრეტარიატმა ამის შესახებ შუამდგომლობა აღძრა მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულის წინაშე, რათა გასცეს განკარგულება, რომ

ადმინისტრაციამ მიიღოს ზომები მეეზოვეთათვის ჯამაგირების თავის დროზე მიღების შესახებ.

**მომრიგებელ კამერაში.**

მომრიგებელი კამერის წევრმა ლიხტერმანმა კამერაში შემოიტანა შემდეგი განცხადება:

,,ამ დღეებში ამხ. ძმათა ნობელის მოსამსახურემ მელეშკომ, თანახმად მომრიგებელი კამერის, გადაწყვეტილებისა მისჯილი ფულის მიღების დროს, ბათუმის განყოფილების კანტორაში გამგის დასწრებით სთქვა: „Это Л хтерманъ тамъ помогъ Нобелю, я это хорошо знаю всѣ съ этихъ жидовъ нужно бить, мы имъ покажемъ" ასეთ დამსახურებულ შეურაცხყოფის გამო ვალდებულად ვრაცხ ჩემს თავს ვაცნობო მომრიგებელ კამერას მელეშკოს ასეთი უმგვანო საქციელი.

მოისმინა რა მომრიგებელმა კამერამ ლიხტერმანის განცხადება მისი უმიზეზო და დაუშვებელი შეურაცხყოფის შესახებ დაადგინა:

კამერა მწუხარებას აცხადებს ასეთი დაუშვებელი შეურაცხყოფის მოყენებისათვის და სთხოვს სეკრეტარიატს მიიღოს ზომები მელეშკოვის დასასჯელად, როგორც კავშირის წევრისა.

## საჩუქრები ჯარისთვის.

ა. წ. 19 იანვარს მ-9 ქვ ასპინძის ათასეულის საკავშირო ჯგუფის ჯარის-კაცებს დაურიგეს საჩუქრები, რომელიც შეუგროვებიათ ქართლში, სოფელ ხოვლეში, გორის მაზრა (პური, ღორის ხორცი და ხილი), საიდანაც ჩამოიტანა იმავე სოფლის რწმუნებულმა. ამ საჩუქრებს ჩვენთვის, ჯარის-კაცებისათვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და დიდად სასიამოვნო არის; ამ საჩუქრებს უგზავნის თავის ჯარს ის მაზრა, რომელსაც ჯერ კიდევ ერთი წელი არ არის რაც თავს დაატყდა დიდი სტიქიური უბედურება და თვითონ ის საჭიროებს დახმარებას სხვისგან მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ქართლს ყველაზე კარგათ ესმის ჩვენი ფრონტის მნიშვნელობა, რადგან წარსული მას არა ერთი და ორი თხრება უნახავს გარეშე შემოსევისაგან. და ის ივიწყებს თავის საკუთარ გაჭირვებას ფრონტის გამაგრების საჭიროებისათვის ეს არის სალი პატრიოტიზმი და საზოგადოთ მოქმედება. ჩვენი წარსული ისტორიაც მოწმობს, რომ ქართლს ყოველთვის პირნათლად შეუსრულებია თავისი ისტორიული მოვალეობა ქვეყნის წინაშე. მადლიერი ჯარი ამის შემდეგ უფრო გრძნობს რომ მისი სამშობლო მას ერთი წამითაც არ ივიწყებს და არ აკლებს მას თავის მზრუნველობას, როდესაც თვით დაზარალებული გორის მაზრაც კი აგროვებს საჩუქრებს და უგზავნის თავის ჯარს ფრონტზე. გორის მაგალითი გამამხნევებელია ჯარისთვის, ეს მაგალითი მას მატებს მეტს ენერგიას და ძალას ჩვენი ძვირფასი თავისუფლების დაცვის საქმეში და უღვიძებს გულში ჩვენი ქვეყნის უკეთესი მომავლის იმედს. ულრმესი მადლობა ჩვენი ჯარის-კაცებისაგან გორის სამაზრო ერობას ახალქალაქის თემს და სოფ. ხოვლეს თემის ხმოსნებს, რომლებმაც მიიღეს შრომა ჯარისთვის საჩუქრების შეგროვების ორგანიზაციის საქმეში.

ჯარის-კაცი მ. კოპალეიშვილი.

P. S ვთხოვ გაზ. ,,ერთობის" რედაქციას გადაბეჭდოს ეს წერილი.

მ. კ.

საღვინე გასტრონომიული მაღაზია
იუილდებ დაწმენდილ დაცდილი ღვინოები,
იამაის რომი კონიაკი ,,IMPERIAL"
და ხვასახსმელები მაღალი ღირსებისა
სავაჭრო სახლი ძმ. სესიაშვილებისა და ამხ.
25—9

## მარადიდი.

მთავრობის განსაკუთრებულ რწმუნებულმა გრ. გიორგაძემ იმგზავრა აჭარაში და ზოგი აჭარის უბანი დაათვალიერა. მარადიდში მას შემდეგი წერილობითი განცხადება მიართვეს.

1921 წელს 19 იანვარს, ჩვენ ქვემორე ამაზედ ხელის მომწერნი მცხოვრებნი მარადიდის უბნისა უბნის მცხოვრებთა მიერ აღჭურვილი სრული ნდობით, ვეგებებით რა პურმარილით, ვესალმებით ბათომის ოლქის საგანგებო რწმუნებულის ბ. გიორგაძის მობრძანებას. უბნის მცხოვრებთა სახელით გვაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ მარადიდის უბნის მცხოვრებნი ღრმა რწმენით გამოთქვამენ სრულ სიმპატიას საქართველოსა და მისი დამფუძნებელი კრებისადმი. იზიარებენ მასთან ერთად ჭირსა და ლხინსა. მიაჩნიათ მიზანშეწონილათ მთავრობისა და დამფუძნებელი კრების მიერ გატარებული ნაბიჯები, როგორც საშინაო აგრეთვე საგარეო პოლიტიკაში ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს დემოკრატიული მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს რუსეთ-ოსმალეთის ომით განადგურებულ ჩვენს მხარეს და აღმოუჩენს შესაფერ დახმარებას გონებრივი და მატერიალური მხრით. ფიცსა ვსდებთ, რომ მუდამ ვიყოთ ჩვენ დედა-სამშობლო საქართველოსთან ერთად და მხარი დავუჭიროთ მთავრობის ყოველგვარ სამართლიან მოთხოვნილებას. არავის არ მივსცემთ ნებას იმოქმედოს საქართველოს წინააღმდეგ. სალამი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უზენაეს ორგანოს დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობას.

## ცოტა რამ სამხედრო ჰოსპიტლის ქალაქის თვითმართველობის ხელში გადასვლის შესახებ.

რამდენიმე კვირის წინათ ბათომის სამხედრო ჰოსპიტალი გადავიდა ქალაქის თვითმმართველობის ხელში ამ რიგად ქალაქის გამგეობას, სხვა ათასგვარი საქმეთა შორის, დაეკისრა ზრუნვა კიდევ ამ საავადმყოფოზეც. უნდა ითქვას, რომ ყოფილი სამხედრო ჰოსპიტალი ბათომში ვერ იყო დაყენებული სასურველი ნიადაგზედ ამიტომ გამგეობამ მტკიცეთ გადასწყვიტა მოეხდინა ძირითადი რეორგანიზაცია. ეს აგრეც მოხდა, ყველა საპასუხისმგებლო თანამდებობებზედ მიწვეულ იქმნენ შესაფერი და ნდობით აღჭურვილნი პირები, მხოლოდ საშუალო და დაბალი პერსონალთა შორის, თითქმის ყველა დატოვებულ იქნენ თავიანთ ადგილებზედ რამდენიმე პირების გამოკვლევით; მოკლეთ აგრე გახლდათ საქმის ვითარება და სრულიად სიმართლეს მოკლებულია ის ცნობა, რომელიც იყო მოთავსებული ამას წინათ გაზეთ ,,ბათომის ცხოვრებაში" ვინმე ალბათ შტატს გარეშე დარჩენილ პირთაგან ავტორის წერილისა ამბობს, რომ თანახმად სამხედრო საქმიო სექციის უფროსის ბ-ნ მგელაძის განცხადებისა, საავადმყოფო გადაეცარა ქალაქის თვითმმართველობას მთელი თავისი შტატითო." წერილის ავტორს ავიწყდება ის გარემოება, რომ ქალაქისათვის სრულებით სავალდებულო არ იყო საავადმყოფოსთან ერთად მისი შტატიც მიეღო წერილის ავტორს ალბათ არ ცოდნია, რომ ქალაქს გადაეცა საავადმყოფო თანახმად დამფუძნებელი კრების დეკრეტისა და არა სამხედრო უწყების სურვილისამებრ; შტატის საკითხის შესახებ, უნდა იცოდეს ბ-მა ავტორმა, რომ ეს საკითხი სრულიად ქალაქის საქმეა, ვინაიდან ამ მხრივ მის უფლებებში ვერ ჩაერევა, ამ ახალ საქმის მოსაგვარებლად ქალაქი უპირატესობას აძლევდა იმ პირებს, რომელთაც ის იცნობდა საიმედო პიროვნებათ.

ქალაქის გამგეობა ძალიან ფხიზლად უყურებს საავადმყოფოს საკითხს, მან ბევრი კარგი ნაბიჯები გადადგა ამ მხრივ მის მოწესრიგების საქმეში; ცხადია, ამის შემდეგ საქმე მოგვარდება და ჩადგება თავის კალაპოტში, მაგრამ ჯერ კიდევ საჭიროა ბევრი მუშაობა, გაორკეცებული ენერგია და უნარი.

ამ მოკლე ხნის განმავლობაში სწარმოებდა განუწყვეტელი მუშაობა: სისტემატიურათ ხდებოდა სიბინძურისა და ნაგავის გაზიდვა საავადმყოფოს ეზოდან, თან-დათანობით ეწყობა სამეურნეო ნაწილის საქმე, შემოღებული იქმნა შესაფერი წეს-რიგი ავადმყოფთათვის და სხვა.

რაც შეეხება აფთიაქის საკითხს, მას-ზედ ჯერ-ჯერობით სანუგეშო არაფერი შეიძლება ითქვას, რადგან წამლების უქონლობის გამო, ბევრი დაბრკოლებები არის და იმედია, ამ გარემოებას მიექცევა სათანადო ყურადღება.

აგრეთვე სამწუხაროთ უნდა ჩაითვალოს ის მოვლენა, რომ ძირითადი ქალაქის საავადმყოფო დღემდის არ უწვდის ხელს ახლად მიღებულ საავადმყოფოს და უცქერს ამ უკანასკნელს ისე, თითქოს მათ შორის არავითარი დამოკიდებულება არ იყოს. პირიქით ის სამკურნალო დაწესებულება, რომელიც ათი წლობით მწყობრად მუშაობს, ასე-თუ-ისე დგას თავის დონეზედ, ვალდებულია დახმარება გაუწიოს იმ ახალ სამკურნალო დაწესებულებას, რომელსაც ჯერ კიდევ ფეხი ვერ გამოუდგამს. იზრუნოს იმის შესახებ თუ რამდენათ ისინი ყველაფერი, რაც საჭირო არის მათთვის, რომ ნაყოფიერათ განხორციელდეს.

მე, ვამბობ, არის საჭირო შეთანხმებული მუშაობა, სოლიდარობა, ერთი მეორისათვის ხელის გაწოდება ამ სამედიცინო დარგში

კოთილის მაუ-ძელი.

## განსაკუთრებულ რაზმში.

დღიდან განსაკუთრებული რაზმის არსებობისა ის ენერგიულათ შეუდგა ბათომის და მის ქალაქის განწმენდას. თუ უწინ საქართველოს მტრები აშკარათ დაძრწოდენ ბათომსა და მის ოლქში, დღეს ფკვე აღაგმულნი არიან და საქართველოს სახელმწიფოს მორიდება აქვთ მთელი ქვეყნის ნაძირალები, ჩარჩები, სპეკულიანტების მოევლინენ ბათომის ოლქს, გაიხადეს ეს ქალაქი ბაზათ თავიანთი მოქმედებისა და აქედან ნადირობდენ, აქედან იღებდენ მიზანში თავის მსხვერპლს. პირველი მსხვერპლი იყო საქართველო, მაგრამ ქართველმა ხალხმა იცის ასეთი ხალხის პატივისცემა!..

დაარსდა ბათომში განსაკუთრებული რაზმი რომლის სათავეში დგას გამოცდილი მოქალაქე იონა ჯანელიძე.

სიმონიძე.

## წერილი რედ. მიმართ.

I.

მოქალაქე რედაქტორო!

ნება მომეცით ჩემი ულრმესი მადლობა გამოუცხადო ბათომის ქართველ ქალთა წრეს, რომელმაც თავისი წვლილით—50 ათასი მანეთით—დახმარება აღმოუჩინა ქართულ სამუსიკო ხელოვნებას, რომელსაც ჩვენ ქუჩებიდან და ეზოებიდან ვემსახურებით. იყავით დარწმუნებული, რომ თქვენი წვლილი მოხმარდება ჩვენი გაბზარული სტვირის გამთელების აღდგენას.

ილიკო ქურხული.

II.

მოქ. რედაქტორო!

გთხოვთ ეს მოკლე წერილი დამისტამბოთ პატივცემულ თქვენი გაზეთი ,,ბათომის ცხოვრების" ერთ ერთ ნომერში.

ნება მიბოძეთ ბ. შრომის კომისართ გთხოვოთ ახსნა-განმარტება შემდეგ გარემოებაზედ: ერთი კვირაზე მეტია, რომ გაზეთებში ვკითხულობთ განცხადებებს: კოოპერატივ „სხივს" გადაეცა საზღვარგარეთიდან მიღებული კარაქი დასარიგებლათ მუშა-მოსამსახურეებზე სულზე ½ გ. მიეცემათ, საღ 630 მან. გირვანქა. უკანასკნელი კი იძლევა ოჯახზე ერთ გირვანქას, სულ ერთია ოჯახის წევრები ერთი სულიდან შესდგება თუ ათი სულისგან, ეს იმ დროს, როდესაც გაზეთებში ყოველ დღე ვკითხულობთ ,,სულზე ნახევარი გირვანქა მიეცემათ". ჩემს შეკითხვაზე მიპასუხეს: შრომის კომისარი კი არის ჩვენი უფროსი, არამედ ჩვენ გამგეობა გვყავსო.

მეორე სურათის უნებლიე მოწმე შევიქენ სამი დღის წინათ, შევედი № 4 მუშათა სასადილოში, სადაც წავაწყდი შემდეგ გარემოებას: ერთი პატარა გოგო შემოდის ჭურჭლით ხელში. მივა მაგიდასთან მჯდომ ქალიშვილებთან და წარუდგენს ...ნი დღითი აღებულ ჩეკებს 4 ცალს დასადასტურებლად და სათანადო ბეჭდის დასასმელად, რომ მზარეულმა სადილი მისცეს. ბავშვიც ... დის სადილის მისაღებათ სამზარეულოში, მაგრამ სადილი მზათ ყოფილა და ბავშვი იწყებს თავის ტოლ-ამხანაგებში თამაშს, ამ დროს ჩეკებს ის ჰკარგავს.

ბავშვი შემოდის ტირილით და ევედრება მოლარე ქალიშვილს ,,თქვენი ჭირიმე ჩეკები დამეკარგა და გთხოვთ სადილი გამატანოთ" მაგრამ კატეგორიული უარი ... დო ბევრი იხვეწა ბავშმა, მაგრამ სულ უშედეგოთ ჩაუარა და ბავში წავიდა ცარიელი კასტრულებით ამ დროს მე შევეკითხე ორივე ქალიშვილებს, ნუ თუ არ გახსოვთ ეხლა ჩეკებზე ბეჭედი დაუსვით თქვენ და ნუ თუ არ შეგეძლოთ მიგეცათ მეთქი. «არ შეიძლება»-ო მოკლედ მიპასუხეს.

ალ. გაბუნია.

რედაქტორი კ. ქავთარაძე.

მიიღება ხელის მოწერა 1921 წ.
ყოველდღიური გაზ.
„ბათომის ცხოვრებაზე"
თვიური ფასი ქალაქში 800 მან. ქალაქ გარეთ 1200 მან.
მუშა მოსამსახურეთათვის და მასწავლებელთათვის ფას დაკლებით.
ხელ მოწერა მიიღება მარინეს პროსპექტზე საბაშვილის სახლში,

ქართული ენის მასწავლებელი-ეკონომისტი ჰკისრულობს
საბუთის ქაღალდების, წესდებების, კანონპროექტების და მოხსენებების
რუსულიდან ქართულად გადათარგმნას.
იგივეასწორებს ენასა და სტილს (მოთხრობები, სახელმძღვანელოები და სხვ.)
მისამართი: სახელმწიფო ბანკი (დონდუკო-კორსაკოვის ქ. № 8) საღ. 4—7½ სათ. გრ. გორგაძე.
(3—1) 4—2—15.